დამტკიცებულია სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 მაისის N64/2021 დადგენილებით

კონსოლიდირებული

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი

1. რეგულირების სფერო

1. დებულება არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორია) საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ქართულ ენაში მომზადების, მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესს;
2. ამ დებულების სამართლებრივი საფუძვლებია: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

2. ტერმინთა განმარტებები

1. **მისაღები კონკურსი** (შემდგომში - შემოქმედებითი ტური/გამოცდა) - სავალდებულო გამოცდა, რომელსაც კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების მისაღები მოთხოვნებით განსაზღვრულ დისციპლინებში აბარებს ჩარიცხვის მსურველი პირი; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2023, 24.03.2023)*
2. მისაღები გამოცდების **საკოორდინაციო ჯგუფი** (შემდგომში საკოორდინაციო ჯგუფი) - რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურების ჩატარების ორგანიზაციულ მხარეზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი;
3. **აპლიკანტი** - საბაკალავრო (აბიტურიენტი), სამაგისტრო (მაგისტრანტობის კანდიდატი), სადოქტორო, მუსიკის მასწავლებელის მომზადების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირი;
4. შემოქმედებითი ტურების **საგამოცდო კომისია** (შემდგომში - კომისია) - რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს აპლიკანტი მისაღები მოთხოვნების შესაბამისად;
5. შემოქმედებითი ტურების შეფასების **კრიტერიუმები** - კომისიის მიერ აპლიკანტის შეფასების საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას;

6. შემოქმედებითი ტურების **საპრეტენზიო კომისია** (შემდგომში - საპრეტენზიო კომისია) - აპლიკანტთა საპრეტენზიო განაცხადებების განხილვის მიზნით კონსერვატორიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს აპლიკანტთა საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საფუძველზე;
7. **დამკვირვებელი** - შესაბამისი სპეციალობის/პროგრამის/ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც აკვირდება საგამოცდო პროცესის გამჭვირვალებას; ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ახდენს საკოორდინაციო ჯგუფის ინფორმირებას. დამკვირვებლის შერჩევას ახორციელებს კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობა და საკოორდინაციო ჯგუფს აცნობებს წერილობითი ფორმით.
8. **კოდირება** - შეფასების ობიექტურობის დაცვის მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის მიერ აპლიკანტთა (აბიტურიენტთა) წერითი ნამუშევრის ანონიმურობის უზრუნველყოფის პროცესი, რა დროსაც კოდირების ბარათზე დატანილი უნდა იქნას აპლიკანტის სახელი, გვარი, საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება, გამოცდის კომპონენტის დასახელება და თარიღი. კოდირების ბარათსა და წერით ნამუშევარს საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელი ანიჭებს სპეციალურ კოდს.

3. კონსერვატორიაში ჩარიცხვის საფუძვლები

1. კონსერვატორიის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ქართულ ენაში მომზადების და მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირი გადის შემოქმედებით ტურს/ებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გადის შემოქმედებით ტურებს (ან პროგრამაზე დაშვების დამატებით შემოწმებას) კონსერვატორიის მიერ დადგენილი წესით; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №136/2021, 13.12.2021)*
4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „ჯაზის ხელოვნება“ და „კომპოზიცია“ აბიტურიენტების ჩარიცხვა ხორციელდება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით - შემოქმედებითი ტურების შედეგების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გაუთვალისწინებლად;
5. საბაკალავრო პროგრამაზე „მუსიკოლოგია“ აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერეული წესით - კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების, კოეფიციენტებით რანჟირებული ქულების საფუძველზე; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
6. საბაკალავრო პროგრამაზე „მუსიკის ტექნოლოგია“ აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №136/2021, 13.12.2021, №16/2024, 28.03.2024)*

7. საბაკალავრო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „ჯაზის ხელოვნება“ და „კომპოზიცია“ შემოქმედებითი ტურის საბოლოო შედეგი განისაზღვრება შესაბამის კოეფიციენტზე (12) ნამრავლით (პირველი და მეორე ტურის ქულების ნამრავლის ჯამით, შესაბამისი პროპორციით 9:3); ხოლო საბაკალავრო პროგრამაზე „მუსიკოლოგია“ შემოქმედებითი ტურის საბოლოო შედეგი განისაზღვრება შესაბამის კოეფიციენტზე (6) ნამრავლით (პირველი და მეორე ტურის ქულების ნამრავლის ჯამით, შესაბამისი პროპორციით 3:3); *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
8. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, სახელოვნებო-შემოქმედებით პროგრამებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, ხორციელდება შემოქმედებითი ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
9. „საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ მაგისტრანტობის კანდიდატი გადის მხოლოდ შემოქმედებით ტურს კონსერვატორიის მიერ დადგენილი წესით, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურების შედეგების რეიტინგული სიის საფუძველზე; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
10. „საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამებზე „მუსიკოლოგია“, „კომპოზიცია“ და „მუსიკის ტექნოლოგია“ მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხდება შერეული წესით - სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
11. სამაგისტრო პროგრამებზე „მუსიკოლოგია“, „კომპოზიცია“ და „მუსიკის ტექნოლოგია“ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება ხორციელდება საკონკურსო ქულით, რომელიც გამოითვლება სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებსა და კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურის ნორმირებული ქულების წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტზე ნამრავლის, ანუ კონკრეტულ ქულათა, ჯამით; (კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურის ნორმირებული ქულა მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ შემოქმედებით ტურზე მიღებული ქულის ამავე გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე გაყოფით); შენიშვნა: სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკოლოგია“, რანჟირებაში არ მონაწილეობს ტესტის ქულა ინგლისურ ენაში; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2023, 24.03.2023, №16/2024, 28.03.2024)*
12. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები განისაზღვრება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“) *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/2025, 27.03.2025);*
13. „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურის შედეგების რეიტინგული სიით.

4. შემოქმედებითი ტურების ორგანიზება

1. აპლიკანტთა რეგისტრაციას, შემოქმედებითი ტურების ჩატარებას, ჩარიცხვასა და სხვა საორგანიზაციო საკითხებს უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი;

2. შემოქმედებითი ტურების ჩატარების ვადები მტკიცდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №11/2022, 18.03.2022)*
3. შემოქმედებითი ტურებისთვის რეგისტრაციის ვადები და გამოცდების განრიგი მტკიცდება კონსერვატორიის რექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №11/2022, 18.03.2022)*

5. შემოქმედებით ტურებზე აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. კონსერვატორიაში შემოქმედებითი ტურების ჩაბარების მსურველი აპლიკანტი გადის რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;
2. შემოქმედებით ტურებზე დასარეგისტრირებლად განისაზღვრება საგანმანათლებლო საფეხურებისა და პროგრამების მიხედვით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
   დანართი N1 (საბაკალავრო/ქართულ ენაში მომზადების პროგრამები),
   დანართი N2 (სამაგისტრო პროგრამები),
   დანართი N3 (მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა).
   (აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)
3. სადოქტორო პროგრამებზე მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“) *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
4. სხვა საჭირო დოკუმენტაციათა ნუსხა განისაზღვრება კონსერვატორიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №11/2026, 27.04.2026)*

6. შემოქმედებითი ტურები

1. კონსერვატორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „ჯაზის ხელოვნება“ და „კომპოზიცია“ აპლიკანტთა მისაღებად ტარდება ორი შემოქმედებითი ტური: ა) სპეციალობასა და ბ) მუსიკის თეორიაში; „მუსიკოლოგიის“ პროგრამაზე მისაღებად ტარდება ასევე ორი ტური: ა) მუსიკის თეორიასა და ფორტეპიანოში და ბ) მუსიკის ლიტერატურასა და ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
2. სამაგისტრო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „კომპოზიცია“, „მუსიკის ტექნოლოგია“ ტარდება შემოქმედებითი ტური სპეციალობაში; ხოლო პროგრამაზე „მუსიკოლოგია“ - შემოქმედებითი ტური სპეციალობაში და ტესტირება ინგლისურ ენაში (მისაღები მოთხოვნების შესაბამის დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებიდან). *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2023, 24.03.2023, №16/2024, 28.03.2024)*
3. სადოქტორო პროგრამებზე მისაღები გამოცდები განისაზღვრება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“) *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/2025, 27.03.2025);*
4. მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ტარდება „შიდა შესარჩევი გამოცდა“;

5. თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები მოთხოვნები მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე ფაკულტეტების წარდგინებით და ქვეყნდება ელექტრონული, ან ბეჭდვითი ფორმით ტურების დაწყებამდე არაუგვიანეს 5 თვისა.
6. საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების/ შემოქმედებითი ტურებისთვის მისაღები მოთხოვნების შესაბამისად საგამოცდო მასალების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, არაუგვიანეს გამოცდებამდე 14 სამუშაო დღისა; პასუხისმგებელმა პირებმა მომზადებული საგამოცდო მასალები უნდა წარუდგინონ საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელს შემოქმედებითი ტურების დაწყებამდე არაუგვიანეს 4 კალენდარული დღისა.

7. შემოქმედებითი ტურების ჩატარების პროცედურა და ფორმატი

1. შემოქმედებითი ტურების ფორმატი განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები მოთხოვნებით და მათი სპეციფიკით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემოქმედებით ტურში მონაწილე აპლიკანტთა პირთა რიგითობა განისაზღვრება ანბანური თანმიმდევრობის, ხოლო სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობაზე კი კონცერტმაისტერთა ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით.
3. კონსერვატორიაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე შემოქმედებითი ტურების მიმდინარეობა ჩაიწერება ვიდეოფორმატით. ვიდეომასალა ინახება ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში ციფრულ მატარებელზე ორი წლის ვადით; შესაბამისი ვადის ამოწურვისთანავე ვიდეოჩანაწერი ექვემდებარება განადგურებას/წაშლას. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2023, 24.03.2023)*
4. კონსერვატორიაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე შემოქმედებით ტურში მონაწილე აპლიკანტს აფასებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საგამოცდო კომისია;
5. შემოქმედებითი ტურის საგამოცდო პროცესს ესწრება ოპერატორი და სტუდენტი-დამკვირვებელი. გამოცდას შეიძლება დაესწროს რექტორი, რექტორის მოადგილე, დეკანი, თარჯიმანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელი.
6. <u>საბაკალავრო პროგრამებზე</u> აპლიკანტის წერითი გამოცდის დეტალები:

ა) წერით გამოცდებს ატარებს საკოორდინაციო ჯგუფი.

ბ) წერით გამოცდებზე აბიტურიენტებს ურიგდებათ კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის ბეჭდით დამოწმებული საგამოცდო სამუშაო ფურცელი/ფურცლები. აბიტურიენტის სამუშაო ფურცელს თან ახლავს კოდირების ბარათი;

გ) მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტი ავსებს საგამოცდო სამუშაო ფურცლის კოდირების ბარათს.

დ) საგამოცდო სამუშაო ფურცელზე დაუშვებელია აბიტურიენტის მხრიდან მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი სახის ინფორმაციის აღნიშვნა;

ე) მუშაობის დასრულებისთანავე საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელი აბიტურიენტს ჩამოართმევს ნამუშევარს და კოდირების ბარათს (შენიშვნა: წერის პროცესში აპლიკანტს შეუძლია იმუშაოს ფაქრით, მაგრამ საბოლოო ნამუშევარი შესრულებული უნდა იყოს აუცილებლად კალმით); *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*

ვ) საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელი დაშიფრავს საგამოცდო ნამუშევრებს (ბარათზე და ნამუშევარზე მიეთითება ერთი და იგივე კოდი);

ზ) აბიტურიენტთა დაშიფრული ნამუშევრები შესაფასებლად გადაეცემა საგამოცდო კომისიას;

თ) დაშიფრული ნამუშევრების აბიტურიენტთან იდენტიფიცირება ხორციელდება საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელთან ერთად, კომისიის წევრთა ხელმოწერით დადასტურებული ნამუშევრების შეფასების შემდეგ;

7. შემოქმედებითი ტურების დადებითი შედეგების მქონე აპლიკანტთა ანბანური სია ქვეყნდება კონსერვატორიის ვებ გვერდზე გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი დღისა; გამოცდების შედეგები ინდივიდუალურად იგზავნება აპლიკანტთა სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ.ფოსტაზე.
8. აპლიკანტს შემოქმედებითი ტურების/გამოცდების თავისი ვიდეოჩანაწერის და წერითი ნამუშევრის ნახვა შეუძლია განაცხადის/ საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, შედეგის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*

8. **შემოქმედებითი ტურების შეფასების სისტემა**

1. შემოქმედებითი ტურების შეფასებას ახორციელებს საგამოცდო კომისია.
2. შემოქმედებითი ტურების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით;
3. შეფასების სისტემის კომპონენტებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით და არის საჯარო;
4. საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების, ასევე მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე დადებითი შეფასებაა 51-100 ქულა;
5. სამაგისტრო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „კომპოზიცია“ დადებითი შეფასებაა 81-100 ქულა, პროგრამაზე „მუსიკის ტექნოლოგია“ დადებითი შეფასებაა 71-100 ქულა, ხოლო პროგრამაზე „მუსიკოლოგია“ დადებითი შეფასებაა 61-100 ქულა; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №137/2021, 17.12.2021; №25/2023, 24.03.2023, №16/2024, 28.03.2024)*
6. სადოქტორო პროგრამებზე შეფასების სისტემა განისაზღვრება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“) *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №05/2025, 27.03.2025).*
7. შემოქმედებით ტურზე გამოუცხადებლობისა ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი მოიხსნება კონკურსიდან/ არ დაიშვება შემდგომ ტურზე.
8. **საბაკალავრო და სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ სპეციალობის შემოქმედებით ტურზე აპლიკანტის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულით (მეათედამდე დამრგვალებით), თითო ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი შეფასებების გარეშე, სადაც კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ ხუთი წევრისაგან (გამონაკლისის სახით, კომისიის სამი წევრის შემთხვევაში შეფასება გამოითვლება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგიურად). სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის შემოქმედებით ტურზე აპლიკანტის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულით (მეათედამდე დამრგვალებით). აპლიკანტის წერითი ნამუშევრების შეფასება კი მიიღება წერითი ნაშრომის კომპონენტების შესაბამისად დაგროვებული ქულების ჯამით. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №07/2026, 02.04.2026).*

9. შემოქმედებით ტურზე კომისიის წევრთა და დამსწრე პირთა უფლებები და ვალდებულებები.

1. აპლიკანტთა შეფასებისას კომისიის წევრი ვალდებულია იხელმძღვანელოს დადგენილი წესით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმებით;
2. კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის პრინციპები და კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები;
3. კომისია პასუხისმგებელია აპლიკანტთა შეფასების შედეგების დაანგარიშებასა და ამ მონაცემის სიზუსტეზე;
4. კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე.
5. შემოქმედებით ტურზე ნებისმიერი დამსწრე პირი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე.

10. შემოქმედებითი ტურის შედეგზე პრეტენზიის წარდგენა და განხილვა

1. კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე შემოქმედებითი ტურების შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს საპრეტენზიო კომისიაში შედეგების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში;
2. განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი განაცხადი/საპრეტენზიო განაცხადი (დანართი N4). განაცხადის შემოტანის უფლება აქვს აბიტურიენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*
3. საპრეტენზიო კომისია არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული აპლიკანტის შეფასებაში;
4. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება განაცხადის/საპრეტენზიო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა; აპლიკანტს შედეგი ეგზავნება სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე. *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*

11. აპლიკანტის უფლებები და მოვალეობები.

1. აპლიკანტი ვალდებულია გაეცნოს კონსერვატორიის ოფიციალური ელ.ფოსტიდან სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ.მისამართზე მიღებულ და კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას;
2. აპლიკანტი ვალდებულია გამოქვეყნებული განრიგის შესაბამისად გამოცხადდეს შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; წერით გამოცდებზე აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს ასევე ფანქარი, საშლელი და კალამი;
3. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს სურს მონაწილეობა მიიღოს კონსერვატორიის ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალობაზე მისაღებ კონკურსში, მან რეგისტრაცია უნდა გაიაროს შესაბამის პროგრამებზე/სპეციალობებზე; *(აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2024, 28.03.2024)*

4. შემოქმდებითი ტურის მსვლელობისას აპლიკანტს ეკრძალება:

ა) ნებისმიერი ელექტრონული საშუალების (მობილური ტელეფონი, ყურსასმენი, ხმის ჩამწერი საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვ.) გამოყენება, გარდა კონსერვატორიის მიერ დავალების შესასრულებლად განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკისა;

ბ) გამოცდის მსვლელობისას თამბაქოს მოწევა ან მოსაწევად გასვლა;

გ) სათადარიგო ფურცლის შეტანა (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ფურცლით უზრუნველყოფა მოხდება გამოცდაზე; დაუშვებელია სათადარიგო ფურცლის/ების გატანა საგამოცდო სივრციდან);

დ) გამოცდაზე კონსპექტების, ე.წ. „შპარგალკების“, წიგნებისა და სხვა მასალების გამოყენება;

ე) სხვა პირის დახმარების ან/და სხვისგან დახმარების მიღების მცდელობა; ვ) ხმაური ან გამოცდის სხვაგვარი შეფერხება ნებისმიერი ფორმით;

ზ) საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენლის ან/და საგამოცდო კომისიის წევრის მითითებების შეუსრულებლობა, გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან შეურაცხყოფა;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერის გაკეთება, საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება;

ი) საგამოცდოდ განსაზღვრული დროის ამოწურვისთანავე აპლიკანტი ვალდებულია დატოვოს საგამოცდო სივრცე;

5. გამოცდაზე შესაძლებელია წყლის ან გამაგრილებელი სასმელის შეტანა;

6. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, წყლის ან გამაგრილებელი სასმელის გარდა, დასაშვებია საკვების შეტანა, რის შესახებაც წერილობით წინასწარ უნდა ეცნობოს საკოორდინაციო ჯგუფს;

7. აპლიკანტი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და მითითებები; ზემოაღნიშნული მუხლის თუნდაც ერთი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში აპლიკანტი ერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ კარგავს გამოცდის გაგრძელების უფლებას და იხსნება გამოცდიდან.

12. შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები და ჩარიცხვა.

1. კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. საკოორდინაციო ჯგუფი შემოქმედებითი ტურების დასრულების შემდეგ კონსერვატორიის ვებგვერდზე აქვეყნებს აპლიკანტთა რეიტინგულ სიებს.
3. საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრთან (შემდგომში ცენტრი) თანამშრომლობით, შემოქმედებითი ტურებში მონაწილე აპლიკანტთა საბოლოო შედეგები ეგზავნება ცენტრს მის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით.
4. ჩარიცხვამდე აპლიკანტებისთვის სავალდებულოა რეგისტრაციის გავლა (დამატებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენა, დანართი N5) და ხელშეკრულების გაფორმება;
5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პირველი სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა ჩარიცხვის თაობაზე;
6. საგანმანათლბელო პროგრამებზე ჩარიცხვის ბრძანებები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იგზავნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციაში.

13. ფორსმაჟორი

1. ფორს-მაჟორულ გარემოებებში, როგორებიცაა სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და იმგვარი გარემოებები, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან/და თავიდან აცილება აღემატება გონივრულ კონტროლსა და შესაძლებლობებს, და რომლებიც საფრთხეს უქმნის წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების უზრუნველყოფას, კონსერვატორია ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებით.
2. ახალი კორონავირუსის Covid-19 პანდემიით გამოწვეული ფორს-მაჟორულ გარემოებებში კონსერვატორია ვალდებულია უზრუნველყოს აპლიკანტების, საკოორდინაციო ჯგუფისა და საგამოცდო კომისიის მუშაობისათვის უსაფრთხო გარემო.

14. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 აპრილის N10/2026 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესის“ მიხედვით.

15. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ.
2. წინამდებარე წესი აუქმებს კონსერვატორიის აპლიკანტთა ჩარიცხვის მანამდე მოქმედ წესსა თუ რეგულაციას;
3. წესში ცვლილებები აისახება წესის გამოყენების შედეგების ანალიზის, შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებული პროცედურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობით გამოწვეული საჭიროებების და/ან რელევანტურ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების შესაბამისად;
4. წინამდებარე წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლიდან;

დანართი №1

საბაკალავრო პროგრამები/ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციისას წარმოსადგენი საბუთები:

1. შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ.**ფორმა BA**)
2. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
3. ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG).
4. კონკურსში (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი (იხ. საბანკო რეკვიზიტები)
5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი გაცემისთანავე;
6. მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (პროგრამაზე კომპოზიცია).
7. საგანმანათლებლო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, სპეციალობა „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“ აპლიკანტი ვალდებულია გამოცდაზე წარმოადგინოს თავისი საგამოცდო პროგრამის ნოტები (5 ასლი ფიზიკური სახით, აუცილებლად იმავე რედაქციით) კომისიის წევრებისთვის.

ფორმა BA

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის ფორმა

აპლიკანტის გვარი, სახელი _____

გარკვევით

დაბადების თარიღი _____

ტელეფონი _____

ელ-ფოსტა _____

მისამართი _____

○ დაადასტურეთ (მონიშნეთ), რომ დარეგისტრირებული ხართ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და არჩეული გაქვთ შემოქმედებითი ტური

მიუთითეთ საბაკალავრო პროგრამა, სპეციალობა, ინსტრუმენტი (ნუსხის შესაბამისად)

_____

შეავსეთ საგამოცდო პროგრამა:

_____

_____

_____

_____

ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემს მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

_____ _____

რიცხვი / თვე / წელი ხელმოწერა

დანართი №2

სამაგისტრო პროგრამები

შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციისას წარმოსადგენი საბუთები:

1. შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ.**ფორმა MA**);
2. საგამოცდო პროგრამა ქართულ და ინგლისურ ენაზე (პროგრამაზე: საშემსრულებლო ხელოვნება);
3. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
4. ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG);
5. კონკურსში (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი (იხ. საბანკო რეკვიზიტები)
6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი გაცემისთანავე (პროგრამებზე: კომპოზიცია, მუსიკის ტექნოლოგია და მუსიკოლოგია);
7. მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (პროგრამაზე კომპოზიცია);
8. სამაგისტრო შემოქმედებითი პროექტის წერილობითი აღწერა ელ. ფაილის/ფოლდერის სახით და განვლილი შემოქმედებითი აქტივობების პორტფოლიო ელ.ფაილის / ფოლდერის სახით (პროგრამაზე მუსიკის ტექნოლოგია);
9. ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი. დოკუმენტის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს შესაბამისი დონის ტესტი კონსერვატორიაში (პროგრამაზე მუსიკოლოგია);
10. საგანმანათლებლო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, სპეციალობა „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“ აპლიკანტი ვალდებულია გამოცდაზე წარმოადგინოს თავისი საგამოცდო პროგრამის ნოტები (5 ასლი ფიზიკური სახით, აუცილებლად იმავე რედაქციით) კომისიის წევრებისთვის.

ფორმა MA

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის ფორმა

აპლიკანტის გვარი, სახელი _____

გარკვევით

დაბადების თარიღი _____

ტელეფონი _____

ელ-ფოსტა _____

მისამართი _____

მიუთითეთ სამაგისტრო პროგრამა, სპეციალობა, ინსტრუმენტი (ნუსხის შესაბამისად)

_____

ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემს მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

_____ _____

რიცხვი / თვე / წელი ხელმოწერა

დანართი №3

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
რეგისტრაციისას წარმოსადგენი საბუთები:

1. რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ. ფორმა);
2. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
3. ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG);
4. კონკურსში (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის ასლი (იხ. საბანკო რეკვიზიტები);
5. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სახელოვნებო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის დედნის ელ. ასლი;
6. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების / საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ამსახველი დოკუმენტი.

ფორმა მასწ.

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
რეგისტრაციის ფორმა
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

აპლიკანტის გვარი, სახელი _____
გარკვევით
დაბადების თარიღი _____
ტელეფონი _____
ელ-ფოსტა _____
მისამართი _____

ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემს მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

_____ _____
რიცხვი / თვე / წელი ხელმოწერა

დანართი №4

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფს / საპრეტენზიო კომისიას
(ხაზი გაუსვით)

აპლიკანტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი _____
წარმომადგენელის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი:
მინდობილობის ნომერი და გაცემის თარიღი _____ პ/ნ _____
მისამართი: _____
ტელეფონი: _____
ელ.ფოსტა: _____

განაცხადი / საპრეტენზიო განაცხადი
(ხაზი გაუსვით)

კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე შემოქმედებით ტურთან დაკავშირებით დავის არსი:

_____
_____
_____
_____
_____
_____

მოთხოვნა:

_____
_____
_____

ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
თარიღი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ რეგისტრაციის თარიღი: _ _ _ _ _ _ _ _ _

დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი საბუთები:

1. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი (დედანი და დედნის ელ. ვერსია) საბაკალავრო პროგრამებისთვის;
2. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი (დედანი და დედნის ელ. ვერსია) სამაგისტრო პროგრამებისთვის;
3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის (ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე).
4. სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ყველა პროგრამაზე თვითდაფინანსებაზე მყოფი პირებისთვის); (იხ. საბანკო რეკვიზიტები)

დამატებითი მოთხოვნა: უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.